



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA01016040966617

26 / ოქტომბერი / 2017 წ.  
№ 936/ს

ქ. თბილისში, გულუას N6-ში მდებარე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მე-2 სართულზე 2 (ორი) ერთეული სავაჭრო (ვენდინგ) აპარატის (ყავისა და პროდუქტების) განთავსებისათვის საჭირო ფართის სარგებლობაში გაცემის მიზნით 2017 წლის 13 ოქტომბრის N01 ელექტრონული აუქციონის შედეგების გამოცხადების შესახებ.

„სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №25 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, ქ. თბილისში, გულუას N6-ში მდებარე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მე-2 სართულზე 2 (ორი) ერთეული სავაჭრო (ვენდინგ) აპარატის (ყავისა და პროდუქტების) განთავსებისათვის საჭირო ფართის სარგებლობაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს უფროსის 2017 წლის 10 ოქტომბრის N834/ს ბრძანებისა და საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის უფროსის 2017 წლის 17 ოქტომბრის N23730/03 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს ჩატარებული N01 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N1 - ქ. თბილისში, გულუას N6-ში მდებარე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მე-2 სართულზე 2 (ორი) ერთეული სავაჭრო (ვენდინგ) აპარატის (ყავისა და პროდუქტების) განთავსებისათვის საჭირო ფართის სარგებლობაში გაცემის მიზნით) შედეგებით, გამოვლინდა გამარჯვებული პირი შპს „ლიდერ ნისავი“ (ს/კ 406155306).

2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს (თ.ჭანტურაია) გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმება.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

ა. გვამასია

თორნიკე გვაზავა